




ათეისტული სალიტერატურო ჟურნალი

კვირა, 19 ივლისი | მიიღება ხალხმწიფრად 1915 წ., თეატრი და სხვაობა - ზმ | № 29 — 1915



ესეი ქველმოქმედი
 + სოლომონ ქრისტეფორესძე კიპრიზოვი
 (იხილე ამავე ნომერში)

ხართუხის საზოგადო კლუბი

მისტილის
№ 131

საუტხოვო საზაფხულო რეტინდია, სტენით და მშენიერი, ელექტრონიკა განათებული, პალია.

- პარასკევს,
17 ივლისს
- შაბათს,
18 ივლისს
- კვირას,
19 ივლისს:
- ორშაბათს:
20 ივლ.
- სამშაბათს
21 ივლ.
- ოთხშაბათს
22 ივლ
- ხუთშაბათს
23 ივლ.
- პარასკევს
24 ივლ.
- შაბათს,
25 ივლ.
- კვირას
26 ივლ.

სინემატოგრაფი და საზნდარი
ორკესტრი
მანდოლინისტების გუნდი
სინემატოგრაფი; საზანდარი
ორკესტრი
ქართული წარმოდგენა
სიმებიანი ორკ. და მანდოლ. გუნდი
წარმოდგენა
ორკესტრი
მანდოლინისტების გუნდი

დახაწუისი საღამოს 8¹/₂ საათზე.

შესავალი ფასი: მამაკენი იხდიან, — 30 კ. ჯალუბი და სტუდენტები — 15 კ.

ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА

на еженедельный богато-иллюстрированный журналъ

под редакцией **„РАМПА и ЖИЗНЬ“** Л. Г. Мунштейна (Lolo)

Театръ. — Музыка. — Литература. — Живопись. — Скульптура.

Съ 1-го юля по 1-ое января 1916 г — 3 р. 50 к.

Съ роскошно-иллюстрированной премией

ГАЛЛЕРЕЯ СЦЕНИЧЕСКИХЪ ДЪЯТЕЛЕЙ (томъ I) 5 руб.

Адресъ конторы: Москва, Богословскій пер.: (ул. Б. Дмитровка), д. 1. Тел. 2-58--25

Можно подписываться по телефону 2-58-25. Контора открыта ежедневно, кромѣ праздничныхъ дней и субботы отъ 12—3 часовъ дня. ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ также въ Москваѣ у Н. И. Печниковой (Петровскія Лини), въ книжн. магазинѣ „Новое Время“ (въ Петроградѣ, Москваѣ и провинц. городахъ), въ музыкальн. магазинахъ В. Бессель и К°. (Москва, Петровка, 12), М. О. Вольфъ. (Москва—Петроградъ.) Л. Издиковскій (Кіевъ) и во всѣхъ книжныхъ магазинахъ г. Москвы и провинци.

Цѣна объявленій впереди текста—75 коп., за строю петита, позади текста—50 к. (4 - 2)



№ 29

წელიწადი
მ ე ს ა მ ი

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ ცა
კე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სო-
რაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифлиς
Ред. „Театри да Цховреба“ 1. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდე-
ბა. — ხელთნაწერები საპიროგებისამებრ შეს-
წორდება. — რედაქტორთან პირისპირ მო-
ლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის
კანტორაში — დილით 9—2 ს., საღამოთი
5—7 ს., ტელეფონი № 15-41

19 0 3 ლ ი ს ი

სისხლის
წელიწადი

ერთი წელიწადია,
რაც კენი დღესასწაუ-
ლობს: ძმა ძმასა ჰ'უს-

რავს; დედამიწა სისხლით გაიყვინთა, მრავლის
უმრავლეს ჭკრივ-ოზოლთა კრემოების ზღვა-
ტბანი დაგუბდა...

მთელს ევროპას ცეცხლი მოედო,
ალი ზეცასა სწვდება...

მოდუნდა ქვეყნის მაჯის ცემა, შეჩერ-
და მეურნეობა მრეწველობა; თუ კეთდება
რამე — მხოლოდ სამხედრო საპიროგებისათვის,
ადამიანები მხეცებად გარდაიქმნენ, ურთიერთს
სამარეს უთხრიან და ველარც კი ჰგონობენ,
რომ თვითონაც იმავე სამარეში ცვივიან...

წმინდა ხელოვნება, მწერლობა, მხატვ-
რობა შებოროდიკდა: აღარავის სცალიან კაც-
თა ძმობა-ერთობაზე საქადაგებლად, მაღალ
იდეალთა გავრცელებაზე: „სისხლი, სისხ-
ლიო!“ — მოისმის ყოველ მხრიდან...

ვილას ჰზრავს კიროსის, ალექსანდრე
მაკედონელის, ჰანიბალისა და სხვა მათ
მსგავსთა ლაშქრობნი...

ვილას ახსოვს რომი და საბერძნეთი,
ათინა და სპარტა, მართლმადიდებლობისა
და წარმართობის ხანგრძლივი ომ-ბრძოლანი,
ჯვაროსანთა მხედრობანი, გუგენოტთა ქლე-
ტა — ბართლომეს ღამე...

კაცობრიობას ეგონა წინ მივიდვიარო,
მთელი საუკუნოები მუშაობდნენ ფილოსო-
ფოსნი, მეცნიერნი, უდიდესნი მოძღვარ-
აღმზრდელნი და... ის კი არა, თითქმის
ყოველივე ეს ფუქი ყოფილა...

ძველმა ევროპამ მხოლოდ ერთი ნათელ-
ჰყო: რომ ჯერ კიდევ კაცი კაცისთვის მგე-
ლია, ძმობა-ერთობა — შორეული ოცნება და
დღევანდლამდე არსებული საკაცთმოყვარეო
მოძღვრებათა საშუალებანი — ყოველად ყალბი,
უკუღმართი, ფარისევლური...

სოციალიზმი, ინტერნაციონალიზმი,
ქრისტეს მოძღვრება და სხვა ამისთანები თურ-
მე აღამიანთა თვალის ასახვევად ყოფილა
მოგონილი...

ტირილი, გოდება და იდუმალი ბოღმა!..
აი, რა გაბატონდა გასულ წელს...

თანამედროვე სურათები

— რა ვქნა, ბატონო, ი ფული რო ისევ უკან დამიბრუნეს ჩემ ვანოს რომ გაუგზავნე და ი დედა-მკვდარი-კი სულ იმას იხვეწებოდა, მინამ „ვენში“ წავალთ, ფული მალე მომაწოდეთო. ნეტა რა უნდა იყოს ამის მიზეზი?—მეკითხებოდა ერთი იმ აუარებელ გულ-დამწვარ მშობელთაგანი, რომელთა შვილები ომის ცეცხლში ტრიალებენ და სიცოცხლეს სწირავენ.

ის იმ დროს ფქვილსა სტრიდა სათონში. თავშლის ყურები თავზე აეკრა და მის საშინლად გამხდარ სახეს, შევარდნილ ლოყებს მხოლოდ ახლა დაეუკვირდი. რა საშინლად გამოცვლილიყო საბრალო ქალი! შემოდგომიდან არ მენახა, სწორედ იმ დროიდან შეილი რომ ომში გაუგზავნეს.

ვარცლზე წელში წახრილი, არაქთვამოლელი აქანებდა აქეთ-იქით სამტკიცს და მთელი მისი არსება მწუხარების ქანდაკებად ქცეულიყო.

— ვაი თუ უბედურობა არის რამე ჩემ თავსა?—განაგრძობდა ისევ კითხვას.

მე არ ვიცოდი, რა მებასუნხა. რასაკვირველია, შესაძლო იყო, რომ მოკლული ყოფილიყო მისი შვილი და იმის გამო ფული დაებრუნებინათ. მეც გული მომეწურა ამის გახსენებაზე.

— არა, მართა, ეგრე რად ფიქრობ,— მაინც ვცადე ნუგეში, —ბირ-იქით, უბედურობას უფრო მალე შეიტყობდი. ადრესი აგერეოდა და ის იქნება მიზეზი. მაგაზე ნუ იწუხებ, მე გავიგებ ნამდვილსა. გული უნდა გაიმაგრო, ეგრე წუხილი როგორ იქნება!—

ამის თქმა იყო და... სიმწრის ფილა ავესო მართას, მოსქდა ნაკადი დაგუბებული ნაღვლისა:

— ოჰ, შენი ნუგეშის კირიმე, ბატონო! მიშველე, რამე თუ შეიძლება, გამიგე რამე ი დედა-მკვდრისა, ცოცხალი მყავს თუ აღარა! ეჰ, ბატონო, შენ ხარ მოწამე ჩემი ქვრივ ოხრობისა? შენ ხელში დავხარდე ჩემი ბაღდები. ინდენი სიცოცხლე შენც მოგეცეს და ი ჩემ საწყალ ობოლსაცა, რამდენჯერ იმას ღობის ძირში დასძინებოდეს უპატრონოდ, მშიერს-მწყურავლსა და გოგო-ბი.

არა და არა! ისტორია თვისს მსჯავრს გამოაცხადებს და ეს მსჯავრი მტარვალთ აღარ მიჰკერძავს...

*
* *
1

შავ-ბნელ ღრუბლებში ფიქრ-დაბურული თვალს ვადევნებდი საავდრო ელფას, და ყურს უგდებდი გულ-დახურული ცის უხმაურო ჩოჩქოლს და ღელვას.

2

დაიგრილა! ქექა-ქუხილში ისმოდა მეხთა ნამსხვრევის სროლა! მეც გარდავევი ქვეყნის დუდილში და მთელი რისხვით ავსტეხე ბრძოლა!





ქართველი მკვლევარი
რეზებ ბეგ ნიუარაძე

ლაქ ბათუმის თვითმართველობის ხმოსნად არჩეული,
უმადლეს სწავლა დამთავრებული.

ქებს ეპოვნოთ და მოეყვანოთ! რა ტანჯვა, ვაებით მე ის გამიზნია, დამივყავაცებია, ახლა იმისგან ველოდი პატრონობას და დახეღმერთმა რა მიყო!..

საბრალო დედამ დასლო გაცრილ ფქვილზე საცერი, აიწია კაბის კალთა და ცრემლღები შემომშრალა.

— სიკვდილი ღვთის საქმეა,—განაგრძობდა ქვითინით მართა,—მაგრამ მე ის მატირებს, ვაი თუ როგორ უპატრონოთა ჰხდება ახლა იმას სული იქ და მე თვალ-დამდგარი აქ ამ მშვენიერ გაზაფხულს შევცქერა!..

და თითქო თავისთვის სინათლე შურსო, თვალღებზე ხელღები მიიფარა. რამდენსამე წუთს ასე იყო.

ბოლოს გაჩერდა მართა, თითქო გული მოიხახო და რაღაცა იმედით გაბრწყინებული სახით სასოებით შემომეკითხა:

— მაშ გამიგებ შენი მუხლის ქირიმე ი ბიკის აშბავსა?

მე მხოლოდ თავი დაუქნიე, რადგან ვიგრძენ, რომ ყელში რაღაც მომებჯინა და საჩქაროდ გარედ გამოვედი.

მაისის დღე იდგა. მზე ვარვარებდა. ფირუზი ცა, ზურამუხტი მდელი, აფოთქილი მთები და მათ მკერდზე მიკრული, მთლად ხეებში ჩაფლული სოფელი, თვისი მოჩუხჩუხე

წყაროებით—საოცნებო სურათად თვალ-წინ გადამეშალა.

გავიდი აივანზე, გადავხედე აზვირთებულ მტკვრის ნაპირზე გადაქიმულ მინდვრებს: ზოგან კავი უბიათ, ნავეიანებად სთესენ სიმინდსა, აქა-იქ მხოლოდ კანტი-კუნტად სთობნიან. სამარისებური სიჩუმეა ყველგან გაშფეებული; არ ისმის მინდვრებიდან ოროველას ხმა, მთოხნელთა გუგუნნი. მკვდარია სოფელი, მკვდარი, ტანჯვა განუზიარებელი, გულ-ჩათხობილი...

უცებ გაჩნდა ჩემს თვალ-წინ ქალაქის ერთ-ერთი გაჩაღებული დარბაზი, შედედებული ხალხით და მათგანვე ამონასუნთქ დამძიმებულ ჰაერით. მაგიდების გარშემო სხედან სქესისა და ხნოვანების განურჩევლად ადამიანები და სახე-ალეწილნი, წარბ-შეკმუხვნოლნი, ვაფაციცებით ჩაჰკირკიტებენ წინგაშლილ ქალღღებს. ისმს ხმა-მალალი ერთი კუთხიდან მეორეში განმეორებული გაძახილი: „ღვა, სემ, სოროკა... და მათ წინ გაფენილი ქალღღი თან და თან ლობიოს მარცვლებით ჰრელღება.

გულის ფანცქალით ელის თითოეული მათგანი მოწყალე ბედის გაღიმებას და ამავე დროს ამავე გულის ფანცქალით შურის და შიშისაგან, ხან და ხან მეორის ქალღღს ალმაცერად გაჰყურებს, რამდენად იმაზე მეტად აქვს ლობიო ჩამწკრივებული.

უცებ, ერთი მათგანი, მოულოდნელობით თითონვე შეშინებული, შემზარავი ხმით იძახის—„დავოლნო!“..

და ასტყდება ერთი ალიაქოთი, ქალღღების შეცვლა, ადგილების გამოცვლა, უჰაერობით სულის-ხუთვით ოფლის წმენდა და ბოლოს ისევ ის გაძახილი, ისევ ის ლოდინი, ისევ აღელვება, შურის თვალით აქეთ-იქით ცქერა... და ასე თითქმის გათენებადინ...

5 - ნო ყ - სა

შეშლილი

(ეტიუდი)

ძღვნად ექ. ჰასან ლორთქიფანიძეს

მისის წყნარი ღამე იყო. ნიკი დასისინებდა სასიამოვნოდ და ახლად შეუოთლილ, საგაზაფხულოდ ზორთულ, ბუნებით შემკულ აქარის მთებს გარს ევლებოდა... შრიალედენ ფოთლები, ფსალმუნობდენ ღამის გუშაგნი. პაწია ციციანათელა სანუგეშოდ ბუჭბუჭად ბუჩქის ძირას, სიბნელეში... მინარე ქორახი აღქაფებული მიშხუდა: ეკვეთებოდა კლდეებს—თითქოს ღამობსო მათ გადალახვას—და, რომ ვერაფერი აკლებდა, გაცოფებული ნაპრალეზე ყრილობდა ჯაგრს; ზედ ენთხეოდა ყოველივე დაბრკოლებას ბრაზ-მორეული და იკაფავდა გზას პანტოსის ზღვისკენ, რომელსაც უზიარებდა თავის საიდუმლოს, ეს უტყვი მოწამე მშობელი ქვეყნისა.

სამხრეთით, გაკრიალებულ ცის ტატობიდან ახალი მთვარე თავის მკრთალი შუქით ნაღვლიანად დაჰყურებდა ოდესღაც სიციცხლით სავსეს, სილამაზის აკვანს და აწკი გავერანებულ და გაპარტახებულ ქორახის ხეობას, სადაც მშვენიერ სოფლების მაგიერ მხოლოდ მათი ამაყი წარსულის ობოლი ნანგრევნი-და გამოიყურებოდნენ.

ღარ ისმოდა ორბის მსგავს ქაბუკთა სიძღერა: „ჰასან-ბეგურა“, „ალი-ფაშა“ და სხვები... ვეღარ გაიგონე დით ღამაზ ასულთა სიცილ-კისკისს...ახლა აქაურობა დამგზავსებოდა სასაფლაოს, სადაც გაშვებულნიკო სიკვდლი, სიმშობის კვარცხლბეკზე დაყრდნობილი, და აფრიალებინა შავი მშუ ვრელი ალაში.


სდუმდა მიდამო ჩაფიქრებული, რომლის სიჩუმეს ხანდისხან ქოტის კივლი იყო დაარღვევდა, რასაც არე-მარე უპით მოცემდა პასუხს ..

— ჰა, ჰა, ჰა. ჰა!..—გაცხმა ერთ, ზარბაზნით დანგრეულ გადაშფვარ, ნახლარში ვილაც ახალგაზრდა ქალის სიცილი, რომელიც გონ-არეული მიმოავლებდა თვალებს ირგვლივ მიდამოს. ფეხ-შიშველი, ნახევრად ტან-შემძარცული, თმებ-გაწეწილი და სახე-დაკაწრული შესცინოდა მთვარეს, შესთამაშებდა და ესაუბრებოდა. დაძრწოდა გადაკაფულ ბოსტან-ვენახებში, ეხვეოდა უსურვაზივით ყოველ

ხეს, ედებოდა ღობეებს, ადიოდ ჩამოდოდა ღელვის და ბროწეულის ხეხილებზე, ლაპარაკობდა გაგებარ სიტყვებს; სტიროდა, მღეროდა და კვლავი კინოდა. ხელის გულზე დაესვა ციციანათელა და უაღერსებდა:

— „ჩემო ციციანათელა! შენ მიერთგულე... ეს აღარა მყავს ახმედა. ამბობენ, რომ ვითომკ ფირ ღად გავარდნილაო... არ ვიცი, ზოგი ამბობს მოჰკლესო მაშინ, როდესაც მე მელოდებოდა წყაროსთან. ჰა? რას ამბობ შენა? შური უნდა იძიოს?... რა სულელი ხარ, ხა! ხა! ხა! ხა!.. მე კი მეგონა, რომ უყვარდი. მე? ჰო, მიყვარს. სადაა ბაბი? არ ვიცი. იმ დღეს ზაირა ხანუმამ მითხრა, რომ ციმბირშიაო; აი იქა, მთვარეზე. თურმე ძალიან ცივა, მეც მაკნალებდა სუსხი. მარტო დამტოვეს... დაიკო ნადირე ასკერებმა გაიტაცეს და ვგონებ წრიასთან რუსის მხედრებს შესთავაზეს: ტყბილი საქმელიაო... მე ვთხოვე და არ მომიტრეს, სისხლი გამოუვავო და მოკვდებო. მე შევეცოდა და ჩადრა დაეხურე. რა მექნა! ჩენი ციციია. ვარსკვლავები წაკლებულან და მე კი დაღუპვას მიქაღინ, რა დავაშაგე, მე რა ვქნა, რომ მიყვარს სიციცხლი თავისუფალი... მაგრამ ქორახის ზვირთები მაინც მიწვევენ თავიანთენ, მიხმობენ საკონცენტოდ. მე კი მარტო ახმედა მიყვარს. ჰეი, შენ! პატარა ცუგუაგ! გასწი, გაფრინდი და ანათეზნელი ტყე ღრე“.— ესა სთქვა და გაუშვა ციციანათელა, დაჯდა ერთ დიდ ღოდზე და აქვითინდა. სტიროდა, მაგრამ არ იცოდა რისთვის. მერე მსწრაფლ წამოხტა ზეზე, გაღიხარხარა გულ-საკლავად და მიაშტერდა რიყეს, შემდეგ მდინარეს დაუწყო ცქერა და დიდ ხანს, დიდხანს არ აშორებდა თვალს.— „მოვდივარ, მოვდივარ. არ დაგიგვანდეს. შე კუდრაქა გულ-წითელავ: მომითქენე. აი, აი მეც შენთან, მოვდივარ მაქანე, აი!..— ეს ღა სთქვა და დაექანა დაბლა გაჰყვა მდინარის პირს, ავიდა მალლა კორდზე და სიცილ-კისკისით გადაეშვა ქორახში აღქაჯივით. ერთიკ შეჰკვივლა და მისი ხმა მიწყდა შორს.. მდინარე ერთი უკანასკნელად შეათამაშ-შეათავტივა ზედა პირზე და გადაათარა ზვირთთა ღეჩაქა..

სიჩუმის მეფემ კვლავ აღმართა თავისი კვერთხი...
ს. ერთაწმინდელი



უსვი ქველმოქმედი

† სოლომონ ქრისტეფორესძე კიპრიზოვი

ვერაგულად მოკლული თბილისში, ორშაბათს—13 ივლ., დაბადებიდან 67 წ. ქართველ ქალია „განათლების“ საზოგადოებას შესწირა თვისი საკუთარი სახელი სუფ-სარქისის ქუჩ., 40 ოთახიანი, 40,000 მან. ღირებული. გაქართველებული ბერძენი იყო, ქართველთა დიდი მოყვარული და სწავლა-განათლების გავრცელების მოსურნე. „განათლების“ საზ-ის გამგეობამ დაადგინა, ღირსეული პატივი სცეს: პანაშვიდი გადაუხადა, კუმბო გვირგვინით შეამკო საზ-ის სახელით, დაკრძალვაზე მოიწვია ანტონ ეპისკოპოსი. დაკრძალვენ ღღეს (ბერძენთა წ. ნიკოლოზის ეკლესიაში, სოფიის ქ., ძველ დამოკ.)

ვიზედაც არ ლაპარაკობენ

მოგახსენებთ ჩვენს ახალგაზრდა მსახიობ ბ. იშხნელზე..

ნიჭიერი არტისტიები საკმარისდა გვეყვანან ჩვენს სასიხარულოდ, და ჩვენს სიხარულით შეგვტყობთ მათ ნიჭს, უნარს, წარმატებას და საზოგადოების მათდამი ეურადღება-თანაგრძობას

ასეთივე ბედი არა ჰქვია ბ. იშხნელს, — ის ჩრდილში გვეყვანს მიგდებულად. როდესაც ბ. იშხნელი პირველად ვინაჟ სტენაზე ამ სამიოდე წლის წინად, გაოცებული დაფრჩხი: ასეთი თვალსაჩინო არტისტი და ასეთი უეურადღებობა მისდამი!..

გვეითხებოდ რეჟისორებს, ვეკითხებოდ მსახიობებს, თეატრის მოყვარულთ, მაგრამ ვერაფერს განმარტებამ ვერ დამკამყოფილა, თუმცა ვეკლანი შეთანხმებოდნენ, რომ ბ. იშხნელი ნიჭიერი არტისტიან.

„იშხნელი თავის ალაგას იყო. . იშხნელი ანსამბლს ხელს უწეობდა.. იშხნელს არა უჭირდა-რა...“

აი ზედ-მიწეებითი დაფასება ბ. იშხნელისა პრესაში!

თუ შედეგობაში მივიდებთ, რომ ჩვენს პრესა ძალიან არ ცდილობს მსახიობის გადახვას, ეკლას ეს „იშხნელს არა უჭირდა-რა“. უდრის იმ „სამს“, რომელსაც უსვამენ სუსტს შეკვირდეს,—ჭა, განსოვდეს ჩვენს სიკეთეს!..

რას ნიშნავს ასეთი „მოწველებითი ენა ბ. იშხნელზე“?

აღბად იმას, რომ მეტი დირსად არ მიაჩნიათ.

პირველად ბ. იშხნელი ვინაჟ გელას როლში და—იშვიითი ესთეტიურა სიტბეკება განვიცადე!.. სტენაზე დიდი არტისტი იდგა,—უჩეთისი გელა წარმოუდგენელიც-გია!

საზოგადოება?—ჩვეულებრივი „ვაჟა... პრესა?—სიჩუმე...“

რასაკვირველია, ეკლას ხომ ერთხანად შეხედულობა არა აქვს ამა-თუ-იმ სავანზე, მაგრამ აქაც არის ერთგვარი საზღვარი... არც ბ. იშხნელია ისეთი უფერული მთაყენა ჩვენს სტენაზე, რომ შეკვირდოს მასხედ ასე ნაყიშნაყიშად ლაპარაკი!..

რამა მას საქმე?

დაკვირვება მეუბნება: ბ. იშხნელმა გაუსწრო ჩვენს სტენას; ბ. იშხნელის ხელოვნება ჩვენს გემოვნებაზე მდღა დგას. ბ. იშხნელი უკრავს სკრიპკაზე, ჩვენს ეური-კი ჟერ ჭიანურს ვერ გასცილებია...!

როგორც მასხოვს, ბ. იშხნელი პირველად გაცნო ჩვენს საზოგადოებას ხიმშიაშვილის როლში. ამ წარმოდგენას მე არ დავსწრებივარ. პრესამ დაიწუნა და უმთავრეს ნაკლად ჩაუთვალა ტემპერამენტის უქონლობა.

ხიმშიაშვილის როლი შეუფერებელია ბ. იშხნელისთვის, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ თუნდ აუარებელ ნაკლულაგნებათა შორის იმ წარმოდგენის დროს გამოსტვივოდა კიდეც სხვა „რადაც“—უფრო საინტერესო, ვიდრე „ხიმშიაშვილის ტემპერამენტი“.

როდესაც შორს მდგომმა პირველად წავიკითხე ეს შენიშვნა (ტემპერამენტის უქონლობაზე), ეურადღება არ მივაქციე; მაგრამ როდესაც ბ. იშხნელი პირველად ვინაჟ სტენაზე მამინვე მივხვდი, თუ რა „ტემპერამენტის“ იყო ლაპარაკი!..

ჩვენი გემოვნება აღზრდილია რასია-რუსია-

ნი ზეესების მეფირაღ თამაშით. ტეცხლის აღი, თოფის გრადი, „გაუმარჯოს საქართველოს!“ და სხვა ამგვარმა „სტუმერ-მენტო აღერთო-ვანებამ“ ჩვენს არტისტებში შეიმეშავა თავისი შესაფერისი „ტემპერამენტი“ — უაღბი, მეფირაღა, სრინწ-მორეული — და აი ეს უაღბი სელოფენება დღესაც კლანკებიდან არ უშეებს მომეტე-ბულს ნაწილს ჩვენი ს.ზო.ჯაღობისას.

ბ. იშხნელის ტემპერამენტი სკამებს არ ამტვრევს, თვალებს არ აბრიალებს, გულს არ იხეთქს ქშიტინით. ბ. იშხნელი ნამდვილი არტისტი, რომელმაც იცის, რომ სელოფენებაში არის **ზომიერება**; მთელი წარსული-გი ჩვენის თეატრისა იყო უზომო გადაღსაზა ზომიერებისა.

ბ. იშხნელი ეერთბიელა, ჩვენი გემოვნება-გი ჭერ ისეჯ აზიური. დროა ჩვენც ავტოთ სელოფენების პირველ საფეხურებს და გადავიფიხიკოთ მეფირაღობის უაღბი ქერქი ვთხოვოთ რეჟისორებს მეტის უურადღობით მოექტნენ ბ. იშხნელს; გვიჩვენონ სშირად უფრო რთულ და შესაფერის რაღებში.

მეტი დაკვარება, მეტი აღერსი, თორემ, ვინ იცის, სდაღმდის დავრეტ ნიჭიერი, დინჯი არტისტი!..

ნ. შიუკაშვილი

პროვინციის სხანის მოღვაწენი

ილია რუხაძე და რაუდენ წივწივაძე

ხონში წარმოდგენების დადგმის საქმეს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ამ 15—20 წლის წინად საფხულობით სისტემატიურად იმართებოდა წარმოდგენები. მამინ წარმოდგენების მართვა, რასაკვირველია, მეტ სიძნელეს წარმოადგენდა, ვინაიდან თეატრს ხელში ნიადაგი არ ჰქონდა მოზოგებული. სიძნელეს არ უშინდებოდა და ეოველჯვარ დაბრკოლებას თეატრალურ საქმეებში მოღვაწეები იოღად სძლედავენ. მათ მოღვაწეობას და მათ შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია, მათი მოღვაწეობის ნაყოფს დღეს ვხედავთ, დღეს, როდესაც თეატრს ხელში ნიადაგი აქვს მოზოგებული და როდესაც სათეატრო საქმეები იმდენად განვითარდა, რომ დრამატიული საზოგადოებაც გი არსდება. დრამატიული საზოგადოების წესდება შვენი შემუშავებულია და წარდგინილია, სდაც ჯერ არს, დასამტიცებლად. სათეატრო შენობის აგება-სედაც დაიწყო ღაზარაკი და მისი აგებაც მას-ღობელ დღეების საქმეს.



ილ. რუხაძე

არა მარტო როგორც სტენის მოყვარენი, არამედ როგორც კამეობის წევრი, სეზონის მოწეობის ინიციატორნი და სხვა. მათ უფართ ეს საქმე, მის წიშმსვლელობის გულითა და სულით მსურველნი არიან, და ეოველჯვარ შრომაც, რომელიც თეატრის საქმის განვითარებას ხელს უწეობს, მზათ არიან. რ. წივწივაძემ ამ 8—1 წლის წინად, თავის საკუთარი ხარჯით საზაფხულო თეატრის შენობაც გი აავტო და ამ შენობის აგებამ დაასლოგებოთ 600 მანეთამდე აზარადა.

რ. წივწივაძე და ი. რუხაძე ცნობილნი არიან ხონში, როგორც საუკეთესო სტენის მოყვარენი და საუკეთესო, მხნე და ეხერგოული მუშაენი კამეობაში. ისინი 15—20 წლის მუშაობამ არ დაღალა და დღესაც კატატებოთ ეურსასურებიან ამ საქმეს.



რ. წივწივაძე

გუსურეებ სხენებულ მით ის კატატება, მხნეობა და შეუდრეკელი ეხერგია, რომელსაც იჩენდენ ამ 15—20 წლის განმავლობაში, კიდევ შერჩენოდეთ. კარგად მესმის რა სიძნელეს წარმოადგენს პრეფინციაში სათეატრო საქმეებში კეთილ-სინდისიერი მუშაობა: გაჭირვება, დამცირება, დაცინვა, ათასი ვაი-ვაჯალახა, — აი პრეფინციელ სტენის მოღვაწეთა ჭილდო. ჯერ დღეს რა სათეატრო საქმეში მუშაობა, რომ ამ 15 წ. და ეოფილიყო. ამიტომ სასურველია, ხონის საზოგადოებამ ამ უნარო მუშაკთა ამაგს რითიმე აღნიშნავდეს.

ლ ა მ ი ს მ გ ო ს ა ნ ი

(გალაქტიონ ტაბიძის ლექსები)
(გაგრძელება. იხ. „თ. ლა ც.“ № 28)

მგონის მელოდიურ დიდშია წითელი
 სოლოვით გასდევს სურვილი ადამიანის ტრანკ-
 დიის გამოცნობისა: ჭკრება ადამიანი სიკვდი-
 ლის შემდეგ, თუ კიდევ რჩება რაიმე, რომე-
 ლიც მის ამ ქვეყნიურ ცხოვრებას რაიმე იმე-
 დით ავსებდეს? ამ საკითხის გამორკვევაში
 მგონის მთავროვნე სახე არად გამოიყურება;
 რაციონალისტი და მისტიკოსი ერთმანეთს
 ეჭვის თვალით უცქერან. რაციონალურ საზო-
 მით სიტყვების ბოლოს გაკება უოველთვის
 უიმედო ამინაკვანით თავდება: მას საქმე აქვს
 მხოლოდ ჩვენს, ფსინსლოგიურ მე-სთან, რა-
 შეჯსაც სიკვდილის მხნე ძალა, უვნებო მატე-
 რად აქცევს და მთლიან ბიოლოგიურ ერთეულს
 სრწნის და ანაწილებს. პიროვნების ფიზიო-
 ლოგიური ჭურჭელი გაიხრწნა და მასთანვე მიე-
 ფარა მისი სიტყვლე და არსებობაც, ადამი-
 ნის ტრანკედა დამთავრდა, სიკვდილის გამარ-
 ჯვებით და რაციონალისტ პიროვნებასაც შავი
 ფარდა ჩამოეფარა, რომლის იქით ხილვას მას
 არ ძალუძს.

სულ სხვაა გრძნეული თვალი მისტიკო-
 სისა. იგი ადამიანის „ნამტვრევ ჭურჭელსა“
 იქითაც კიბებს ბედს პიროვნებისას და გრძნობს
 მას მხოლოდ თვით სუბიექტი და მტკი-
 ცებაც მისი მხოლოდ განჭვრეტით კამოფიილ-
 დება და მეცნიერულ აბიექტიურ დირსებულებას
 ვერ იღებს. მეცნიერება ერთად ეჭვიანი და
 სკეპტიკური იერის მატარებელია; უოველისფერი
 მისთვის ფუჭია, რაიც ლოგიურ კანცების შამ-
 ფურზე არ არის აცმული მაგრამ სავალალო
 ის არის, რომ მეცნიერება რამდენათაც ეჭვიანი
 და უნდაბია, იმდენად იგი—ფიწრო და უმწკაა,
 —ადამიანის ფსინიკა კი დრმა და ფართუა,
 მას კამოფიილება სწუროა, იგი „იტვით დატვირ-
 თული ვერ იტყოფებს და ხშირად რაციონა-
 ლისტი პიროვნება მისტიკურ სამოსელში ეხვევა
 და სჭვრეტს საიდუმლო სამართს მსოფლიოსას.

ვიმეორებ. მგონის სულში ვერ კიდევ
 ბრძოლას სწარმოებს რაციონალისტ და მისტი-
 კოსს შორის, თუმც გამარჯვებას თან და თან
 პირველი ირჩენს.

ეს დრმა პრობლემა გამოსჭვივის პატრას
 ლირიულ პიესაში „ორი პეპელა“. ეს პიესა

მით უფრო ღამას და დრმა სევდით სავსე სა-
 ხეს ღებულობს, რომ აქ სიტყვების ტრა-
 გიულ სტენაზე გამოყვანილია პეპელა. რა-
 შელთა სიტყვლე რამდენიმე დლით თუ კანი-
 ზომება; და რამდენადც ხან მოკლეა სიტყვ-
 ლე ამ ქვეყნიური, იმდენად უფრო მეტი სურ-
 ვილი სიკვდილის გამოცნობისა. პეპელის ბასია
 მით თავდება, რომ ერთი მათგანი ჭკვდება იმ
 იმედით, რომ მის გაქრობის შემდეგ

„ის ღელვა, აწ უჩინარი,
 მუდამ იცოცხლებს და არ მოკვდება,
 რადგან არ არის ხელის შემშლელი
 მისთვის საზღვარი და დაბრკოლება.“

დაიმხხვრა სუსტი ჭურჭელი პეპელასი და
 მისი მტვერი, ევალილებზე დამკურებელი, ფრ-
 თილიად აჭკრიფა ფუტკარმა და იგი მტვერიც
 მას ზღაპარს უამბობს „კვალ გაუშლელ საუკუ-
 ნისასა“. ამ ღირიულ პიესაში მგონის მთა-
 ვროვნე პიროვნებას ფარდა აქვს ჩამოფარებული,
 მაგრამ დაკვირვებელი თვალი ოდნავ ამჩნევს
 მის სახეს და იგი სახეც ორ უანასკელს ტრი-
 ქანებში გამოსჭვივის!

„ეჰ, მაგრამ სხვაა მიანიც სიცოცხლე,
 ვნებებს ხომ მარხავს მისი გაქრობა“.

ეტყობა, რომ მგონის რაციონალისტი
 სახე იმარჯვებს; მას არ კამოფიილებს მარტო
 მტვერი, რომელიც ფუტკარმა აჭკრიფა და გა-
 დანცა შთამომავლობას, მას მიანიც ფიზიოლო-
 გიური მე აინტერესებს პიროვნებას. მტვერი
 იგი, თუმცა ზღაპარს უამბობს „კვლავ გადაუ-
 შლელ საუკუნისასა, მაგრამ იგი უვნებია და
 უსხეულა, იგი ერთ მთლიან ჭურჭელს არ წარ-
 მადგენს ხორცილს და ვნებებით სავსეს.
 მგონის ტრანკული განცდა კი, მით უფრო
 და უფრო მწვადება, ცხოვრებას ეკარება უა-
 ველიფე აზრი და „სიტყვიერის შავი ნისლი
 იხურებს“ სევდიან მის სახეს;

„ოჰ, სად ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე ძილო,
 სიცალიერის შავი ნისლი რომ გამაძალოა“
 მაგრამ მგონის ამოძახალი უხმოდ რჩე-
 ბა და უნდაბია „ბინდის სტუმარი“ კვლავ უხა-
 ტავს „სიტვიერის სასაფლაოსას“.

მიხ. აბრამიშვილი
 (შემდეგი იქნება)

კომპოზიტორი ანდრია ნიკოლოზის ძე ყარაშვილი



კომპ. ანდრია ყარაშვილი

ჩვენს სამუსიკო სფეროში კომპოზიტორს ა. ყარაშვილს თავისი ბაიარდი როგორღაც ჩუმად, შეუმჩნეველად მიაქვს. იგი ჭკვას ნაცარში ჩამალულს ნაღვერდალს, რომელიც, რადესაც ნაცარს გადაქექავ, სასიამოვნო სითბოს მიაშუქებს. ა. ყარაშვილს მუზა დრმათაა ჩამარხული მის გულში და იშვიათად ამოჭეფის სოლმე იქიდან თავს, მაგრამ თუ მუხამ ამოაშუქა, უსათუოდ ყველას სასიამოვნო სითბოს აგრძობინებს.

ამ დასვენამდის ჩვენ მიგვიყვანა ა. ყარაშვილს კომპოზიციებმა; თუმცა ძალიან ცოტა აქვს ნაწერი, მაგრამ რაც აქვს, ყველას ბულის სიღრმეში დაღულებული სითბო თან მოსდევს და მსმენელს დამაკმაყოფილებელ გრძობას უნერგავს.

ზირად მე ა. ყარაშვილს კომპოზიციებში ყველაზე მადლა ვაყენებ ზაინინოსათვის დაწერილს „სასანდარს“ (შემდეგ ბ. ფალიაშვილისაგან მშვენივრად გადაკეთებული „სამშობლო“) მიუხედავად იმისა, რომ „სასანდარი“ პოპულარისეურით*) ნაწარმოებია, იგი მაინც მთლიან შთაბეჭდილებას სტოვებს როგორც თავისი განზრახვით, აგრედეუ თავისი სასიამოვნო შელოდებით და მტკნებარებით.

ნამეტნავად ძვირფას მარგალიტად უნდა

საითვალოს „სასანდარში“ ბალეტისებური რვა ტაქტი, დაწვეული ვი-ან ვადრე ვი ტაქტიმდე ეს ფრაზა ისეთი მდიდარია თავისი ვნებათაღელვის აშქველ და გრძობის ამლიზიანებულ მელოდიით, რომ უდიდეს კომპოზიტორების ბალეტში რომ შევიტანოთ, იქაც ეს ფრაზა ისევე მბრწყინავ მარგალიტად დარჩება.

სასოგადოდ „სასანდარი“ თავიდან ბოლომდის დიდის გრძობით არის დაწერილი; ყველა იმის შემადგენელი მელოდიები კომპოზიტორს ჯერ თავის გულში აქვს გადაქნილგანდღულებული და შერე ნოტებზე გადაცე უდი. სწორედ ამითი აისრებს ის მოკლენა, რომ სასოგადობას, რამდენჯერაც უნდა მოისმინოს „სასანდარი“, თავის დეში არ მოსწყენდება იმისი ხელ-ახლად მისმენა.

შეორე ნაწარმოები კომპოზიტორისა არის „ლოთებო ნეტავი ჩვენა“, დაწერილი ოთხსიმიებისან საკრავისათვის (კვარტეტი) კვარტეტის თემად აღებულია ყველასათვის ცნობილი ქართულ-ქალაქური სიმღერა „ლოთებო“ და სკრინბკა ზემოწვევით გადმოგვცემს ამ ცნობილს მელოდიას თორმეტი ტაქტის მანძილზე.

შერე-გი ავტორი ამ თემასზე ვარიაციას აშენებს ოცდა ოთხი ტაქტის მანძილზე. მაგრამ რადგანაც თვით თემა შეიცავს 12 ტაქტს (და სისტიკად რომ გაშინჯოთ უფრო ნ ტაქტს, რადგანაც შეორე ნ ტაქტი თითქმის განმეორებაა პირველი ნ ტაქტისა, მხოლოდ მეშვიდე ტაქტის შეცვლით). ვარიაცია კი შეიცავს 24 ტაქტს და რადგანაც ეს ვარიაცია ერთფეროვან-



ვასო აბაშიძე (სიცხისაგან ქანც-გამოლეული): ნეტავი მოგესწრები ქართული თეატრის აშენებას?!

*) პოპული—რამდენიმე მელოდიის, ან სიმღერის ერთად შეკვანძა



საშურის ქართული დრამატული წრის გამგეობა და სცენის მოყვარენი
 გ. მგეობა — თავმჯდომარე ინე გ. ძნელაძე (9), წევრნი: გ. ძნელაძე (2), ნინო უაჭეიშვი-
 ლისა (7), ი. უაჭეიშვილი (13), კ. მესხი (18); სცენის მოყვარენი: ს. დეგდარიანი (1),
 ა. კორძია (3), მ. კვალაშვილი (4), გრ. დეგდარიანი (5), ან. კოკელიძე (6), მ. რევაზიშვი-
 ლი (10), ვ. მადრაძე (12), ქ. კალაძე (14), დ. ძნელაძე (15), ნ. სიხარულიძე (16), მ. ქუ-
 თათელაძე (17), ვ. ხაზბერაშვილი (19), დ. სხილაძე (21) და ს. ხაზუნაშვილი (22); მიწვეული
 მსახიობნი: მ. შოთაძე (8), იუსა ზარდალიშვილი (11); თეატრის ამგები — ვ. ჯაფარაშვილი (20)

ნია, ამასთანავე მოკლებულია მოდულაციას. ამიტომ ეს ვარიანტი, ანუ თემის განვითარება სუსტსა და დამღვალვ შთაბეჭდილებას სტოგებს მსმენელზე.

მაესა უფრო მოიკვება, თუ კომპოზიტორი ვარიანტის 12 ტაქტის შემდეგ გაამეორებინება ვიოლინოს თემას, ანუ ხალს მელოდისა, მაშინ მეორე ნაწილი ვარიანტისა და ნამეტანავად უკანასკნელი 6 ტაქტი დასადავავი

ღარ იქნებოდა მოსასმენად. მით უფრო მოსაწეენია ამ ვარიანტის 24 ტაქტი, რომ ავტორს ეს ადგილი განმეორებითი ნიშნებში აქვს ჩასმული. ამ შემთხვევაში ხომ მსმენელს მთლად ეკარება გონებიდან თემა და რადაც გამოურკვეველს შედეგით რჩება მაესის გათავების შემდეგ.

გ. საყვარელიძე

(დასასრული იქნება)

მ წ ი რ ი - ს ა რ ღ ა ლ ი

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ 18—29)

მანანა რა იყო? — თითქო თან გიხაროიან
 და თან კიდევაც გული გიკენდის!
 ნინო რა და დიდი დღეს ნეტარება,
 ან საშინელი ამბავი გველის!
 მანანა (მღელვარებით) როგორ?!
 ნინო (ცრემლმორქული) ეს არის, მოვი-

და კაცი

და მოიტანა მეფის წერილი:
 თურმე მოდის და საცაა მოვა

ჩემი ღვთაება გივი .. დაქრილი!
 მანანა (გაფთორდება) მძიმედ არისო?..
 ნინო აბა, რა ვიცი!
 მამა არ ამბობს და წერილიცა
 არ ღამანება; სდუმს თვით მოამბეც;
 ცოცხალიაო, მხოლოდ შემფიცა!..
 (სტირის)

მანანა კარგი, ნუ იტებს გულს წინ-
 დაწინვე!

ეგებ, უფალმა ღმერთმა მოგვხედოს და დიდებული მამულიშვილი ასე უდროოდ არ გაიმეტოს!..

ნინო (ტანჯვით)

ოჰ, ძლივს ბრუნდება; ძლივს მისი ნახვა

მე, უბედურსა, კვლავ მეღირსება, მაგრამ, ოჰ, ნუ თუ მხოლოდ ერთ წუთით

და საუკუნოდ კვლავ გამშორდება? მე-კი ვხარობდი: ასე მეგონა, რომ შესცდა ბედშვებ დედისა გული, რადგან მაშინვე აღარ გამართლდა მეუღაბნის წინასწართქმული და გივი პირველ ბრძოლას გადაარჩა უვნებელი და გამარჯვებული!

(ტანჯვით) ოჰ, ღმერთო, ნუ თუ ეს სიხარული ასე უეცრად უნდა დასრულდეს და უბედურის დედისა შიში,

თუმც კოტა გვიან, მაინც ასრულდეს?..

(სტირის. შემოდის მსახურის დახმარებით მომავალი ერისთავი, მოამბე და მსახური)

მანანა (დაინახავს ერისთავს)

თვითონ ბატონიც აქ მობრძანდება!..

(ერისთავი მოდის წინ და დაჯდება ერთერთ კუთხეს. მოამბე და მსახური იქვე დადგებიან)

ნინო (მოდის ერისთავთან და ვედრებით)

მამა, მითხარი, გივი დაჭრილი

არ უნდა იყოს ხომ სასიკვდილოდ?..

ერისთავი ღმერთმა გვაშოროს მისი

სიკვდილი!

ღმერთმა ქვეყანას დიდხანს უცოცხლოს სასიქადულო მამულიშვილი!..

მეფეც მწერს იმის საქმეთ, საგმიროთ, და ესეც (შეხედავს მოამბეს) ამბობს,

მე მეომარი

ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს,

მისებრ მამაცი და მკლავ-მაგარი!..

მოამბე (აღტაცებით) დიახ, ცეცხლია!

სადაც კი გაჩნდა,

მტრის ურიცხვ ლაშქარს დასცა

თავხარი:

ვით შევარდენი მტრედების გუნდში,

ამ ურღო ჯარში ჩაერეოდა

და მუსრს ავლებდა მარჯვნივ და მარ-

ცხნივ;

მის ხმაღს ვერავინ უმაგრდებოდა!

(ნინო თან აღტაცებულია და თან იტანჯება. მარცხენა მხრიდან შემოდის ჯერ სოფლის ბავშვები და შემდეგ მეომარი, რომელთაც ტახტრევანით მოწვევით მიიმედ დაჭრილი გივი. ტახტრევანს უკან მოწვევებიან დედაცანები და გლეხები. მეომარი მოვლენ ერისთავთან და დასდგამენ ტახტრევანს. ევეჯანი უახლოვდება ტახტრევანს და ერთ მხარეს დადგებიან მეომარი, მეორე მხარეს ჯერ ბავშვები და შემდეგ დიდები. გივი მიეუბნება: ერთ მეომარს, მიესალმება ერისთავს და ხელს გაუწვდენს ნინოს. ნინო დაქცევა მის წინ მუხდებს, მოხვევს ხელს და და ტირილით გულში ჩაკერის)

ერისთავი (გივის) როგორ ხარ, გივი?

გივი (მისუსტეულის, მაგრამ სიმხნით სავსე ხმით)

ძალიან კარგად!

სული სიამით არის აღვსილი და ვგრძნობ ზეციურ ნეტარებასა, თუმცა ხორცია მძიმედ დაჭრილი და სიცოცხლისა ჩემი წუთები, ვხედავ, ამ ქვეყნად არის დათვლილი!.. (მოისმის ნინოს ქვითანი. გივი აუწყებს თავს ნინოს)

არა გრცხვენია, ნინო რომ სტირი?..

მე შევასრულე შენი სურვილი:

ვაჭირვებისგან ვიხსენ სამშობლო;

შევიქენ ღირსი მამულიშვილი

და აწ, დე მოვკდე! ბედნიერი ვარ,

რომ სასახელო მერგო სიკვდილი!

შენ რა გატირებს?..

(ბეგნი და მათ შორის ერისთავიც სტირის. გივი ერისთავს)

ან შენ, ბატონო?

(სხვებს) ან თქვენ?.. რა დროსი არის ტირილი,

როდესაც მტერი იქმნა საშინლად დამარცხებული და განდევნილი?

როცა ჩვენ მივსწვდით უკვე საწადელს;

აღსრულდა ჩვენი ნატვრა სურვილი

და საქართველო კილით-კილემდე

გაერთიანდა, ძღვეამოსილი?..

არა, ნუ სტირით, იმხიარულეთ



პანაპონიკი

ლავერენტი იოსების ძე ბერიძე

ბრძოლის ველზე დაჭრილი, წევს
კიევის ერთ-ერთ დასარტოში.

და გამარჯვების სიმღერა, ტკბილი,
კვლავ შემოსძახეთ,

(მეომრებს) ჩემო მამაცნო,

და დამიამეთ მწვავე ტკივილი!..

(ადურთაფანებით) ღიახ, ჩვენ ყველა, დიდი,
პატარა,

კაცი და ქალი, დღეს ყმაყოვილი
უნდა ვიყოთ, რომ, თუმცა ზოგ

ჩვენგანს

ბედმა არგუნა ტანჯვა, სიკვდილი;
სამაგიეროდ კვლავ ცოცხალია

და ბედნიერი ქართველი ერი
და კვლავ არსებობს საქართველოცა,—

ის, მშვენიერი, მხნე და ძლიერი!..

ჩვენ ხომ ნაწილი ვართ მხოლოდ მისი,
გაჩენილნი მის საკეთილდღეოდ,

და უიმისოდ არარანი ვართ,
როგორც ფოთოლი უმშობელხეოდ!..

(ხელს გაიწვდენს იქვე მდგარ ხისკენ)

ხე სდგას, ფოთოლი ესხმის და სცივია,
მისთვის საჭირო და სასარგებლო;

ჩვენცა ვართ მხოლოდ იგივე ფოთლები
და მშობელი ხე—ჩვენი სამშობლო!..

მაშ, ვინუგეშოთ თავი, რომ მისთვის
ცოცხალს მისთვისვე გვეღება ბოლო;

რომ, თუმც უღროო, ჩვენი სიკვდილით
ძალა ეძღვევა მას სასიცოცხლო!

ჩვენ ვკვდებით, მაგრამ ის ცოცხალია

და ვერც ვერავინ მოჰკლავს უკვდავსა!
(ხმა თანდათან უსუსტდება)

მხოლოდ ის ერთი, ის უბედური
ვერ ინუგეშებს ვერაფრით თავსა.

მხოლოდ დედაჩემს ვერ გაუქარვებს
ველარაფერი ნაღველსა, მწვავსა,

რომ სამშობლოსი და მშობელ ერის
მას არაფერი ეყურებოდა,—

ვერც უბედობას გრძნობდა იმათსას,
ვერცა ბედითა მათით სტკბებოდა

და ტირილიცა...მარტო... მას შვენის,
მთელს სიცოცხლემი...ტანჯულს...

მწარედა,

ჩვენ-კი...ვი...ცი...ნოთ, ვი...მხი...ა...
რუ...ლოთ!..

(უკანასკნელ სიტყვებს ძლიერ-და აშობს და
კვდება. ნინო დაუმობა, სხვები-კი მწუხარები-
საგან გაქვავებულნი დგანან)

ხმები (უკანა წიკებიდან გზა!.. გზა მიე-

ვით!.. დედაა, დედა...

(უკვლანი შეკრთებიან და გზას უცლიან ნელის
ნაბიჯით მამაყვალ მართას. მანანა სანქაროდ
ააყენებს ნინოს და, რომ არ წაიქცეს, გულზე
მიიყრდნობს. მართა მოდას, დაიხრქებს კივის
წინ, დააქვადება, იცნობს, შეასებს ხელებს,
რწმუნდება რომ მკვდადია, ერთს საშინდად
გააყრუალებს და თვითონაც უცრად კვდება.
უკვლანი თავსარდაცემულნი რჩებიან)

ფარდა

ყუყუ მუხუკო

(დასასრული)

ქართველ მაჰმადიანთა ლექსი

გოგოს ჩივილი

იუსუფ ვნდესის-ოდლი ბასონიძის მიერ თქმული

გოგო ჩივის: „ვერ წავყვები,

სერდალადა ჩემი ქმარი.

სადაც წევა, იქ მივაგნებ,

თუ გინდა თავი მომქარი.

კარზე ფეხი ვადავადგი,

მუხლმა დემიწყო კანკალი,

ბახჩი ბოლოს რომ ჩაველი,

სახშიც შეიქნა ხრალი.
 ჩემმა ძმამა მომადახა:
 „თუ ღეგეწიე დაგკალი!“
 მაშინ გულმა გამიწყალდა,
 თუ შეიყარა სიძე-ყაანი.
 დინე ჩემიდან მეშინოდა:
 ღმერთო შენ ის მომიკალი!
 ყაივ ნი ასე მქონდა.
 ერთი ქუა შემოგვკარი.
 ბნელ ღამეში რომ მობძანდით,
 თქვენ ხომ არა ხართ ფირალი?
 ფირალობას უკეთესია,
 ფეხზე ჩევიცვა ზანკალი.
 გაჩენელმა გაღოგვხედა,

ზოგვიქროლა ერთი ქალი.
 მაშინაში რომ ჩავჯექით,
 შიგნით ღეგკლიტეთ კარი.
 ფეზლი ბეგმა კარზე მოდვა,
 ისახელა იმის გვარი.
 ფეზლი ბეგსაც თუ იკითხავ,
 სანჯალ ბეგის შვილი არი,
 გარედ ჩხუ'ობა რომ შეაქნა.
 მაშინ ჩივდანი: „სუთი არი“,
 მომიყვანეს რსათებში,
 ღემიყენეს ერთი ქალი.
 მის სიტყვასაც ვინ მიიღებს:
 ხუთასი კაცის ნახმარი!



შ ა რ ა ლ ა

ღედის გავლელი

(გაგრძელება. იხ. „თ და ც.“ № 27)

საშენებელი მასალა
 თეთრია ვით ბ მზის ქულა,
 ქვისა შენობა უმისოდ
 მკვიდრად არ აშენებულა.

ოთხ ანბანიდან შესდგება,
 სახელი სრულად გვჭირია,
 ფიქრიც არ გინდათ, მიხვედრა
 არც ისე გასაჭირია.

ეხლა გთხოვთ გაისეირნოთ
 რაკისკენ საზაფხულოთა,
 იქ ნახავთ დაბა-ქალაქსა
 (არ დარჩეთ კი უფულოთა),

პატარა ქალაქი არი,
 გთხოვთ ნახოთ უეჭველად,
 მისი სახელი გვჭირდება
 შარადისათვის მთელადა!

მიუმატევით პირველსა
 უკლებლად, შეუცვლელადა,
 თუ გსურსთ მიიღოთ სახელი
 დასჯილ მოღვაწის ხელადა.

ფეხიზელი მწყემსმთავარია,
 დამცველი თავის სამწყსოსის,
 არ დაივიწყებს მის მსგავსებს
 შთამამავლობა ქართლოსის.

ვარდენ ღვანკითელი

გაიარა კი ძალზე და ფეხის ხმა კვლავ მოესმა. ყაჩაღს თავში გაურბინა ალბად ვილაც გზირად გამომყვარ და უკანაც არ მიიხედა, ისე გაუჩქარა გზას, მაგრამ რა გინდ რომ აჩქარებულიყო, ხვავს მინც ვერ ატანდა; და ეს ძალიან უჭირვებდა საქმეს. როგორც იყო მიადწია სოფლამდის და მის შესავალს რომ დაუბრდაპირდა, ცოტა ხანს შეჩერდა, რადგან დავიწყებოდა სად იყო მისი გადასახვევი და კარგად რომ მოისაზრა და გაარკვია, გადავიდა სასოფლო გზაზე, საიდანაც ბოლოს ორ ღობეში უნდა გადაეხვია, რომელიც თავის ქიხში მიიყვანდა. გაიარა სოფლის გზაც და რომ უნდა გადასულიყო ორ ღობეში, კვლავ მოესმა ქაჭყი-ქუჭყით ფეხის ხმა. ძალზე ბნელოდა. სოფელსაც ჩასძინებოდა. ის კიდევ შედგა. მობრუნდა უკან. ამ დროს ზედიზედ გაიეღვა და რა?ოდენიმე მანძილზე მის პირდაპირ გამოჩნდა ელვის ცეცხლში ვილაც თავწამოსხმული ადამიანის შეხედულობა. სოფრომამ ეს კარგად დაინახა და რომ დარწმუნდა ვილაც მომყვებო, გაქცევა მოინდომა, მაგრამ არ ეხერხებოდა. გზა ისე იყო ატალახებული, რომ ფეხებს ვერ მოიკავებდი. გზის გადაღმა-კი ზო-

გან დაშორებოთ მოსახლე ხალხი ცხოვრობდა, ზოგან ტალახთან ერთად გაუვალი ბარდ-ეკალი იყო გახლართული და ზოგან კიდევ ღრიანკელი, ამიტომ მან ისევ წინ წასვლა ამჯობინა, იმ პირობით, რომათუ იქვე მართალი იქნებოდა, მაშინ თვით მოსახლეებს გადაიარდა შუა სოფელში და მაინც წაუვიდოდა მტერს, როგორც პირველად. როგორც იყო მიადწია ორღობემდის, და ეხლა კი ნამდვილ სოფელში იგრძნო თავი. თავის ქოხიც ახლო იყო აქედან, მაგრამ ცხლა ეს უცნაური აწუხებდა, რომელიც კვალდაკვალ მოყვებოდა გზაზე. სოფრომა გადავიდა ორღობეში და რამდენიმე ნაბიჯის მერმე შეჩერდა ტირიფებში. ფეხის ხმა თანდათან მოახლოვდა. ყაჩაღი საშინელ ფიქრში შევიდა „ღმერთო, რაა ჩემ თავს? ხუთ წელიწადში ერთ ღამეს ვეღარ ვნახო დედაო?“ წარმოსთქვა ეს და გაჯავრებული დაემზადა დასაძახებლად. ამ დროს გაიღვია და უცნობმა, რომელიც ახლო გამოჩნდა, თვალი მოჰკრა სოფრომას ტირიფის შტოებქვეშ. როგორც სოფრომას, უცნობასაც შეეშინდა, გადავიდა გზაზე და ორღობის მოაჯირს მიეყრდნო ენაჩავარდნილი. ყაჩაღი ახლა სრულიად დაამტკიცა მისი მზვერაობა. ნაბდის ქვეშიდან რევოლვერი იძრო, ელვის სინათლეში უცნობი მიზანში ამოიღო, და შესძ ხა:

— რომელი ხარ, გირჩენია ხმა ამოიღო!

მაგრამ პასუხი არ იყო. სამავიეროდ ნიშანში ამოღებულმა იმდენად ჩაიკეცა და მოიკუნტა, რომ მუქის ოდენა გახდა. სოფრომას ეგონა იპარებო და გაუმეორა: „შენ გინდა გაიგო სად მივაჯ, მაგრამ ვერ გაიგებ. სანამ ამას გეიცნობდე, უმალ ჩემს ნასროლ ტყვიას გეიცნობ — შე'ძახა და რევოლვერმაც დაიგრილა. რევოლვერის ხმაზე მოსმა „ვაიო“ და უცნობიც ხრიალით გაიშალა მიწაზე. ამ დროს შორს გზაზე დარჩენილმა ძაღლმა დაიკვირა, შემოიბრინა ორღობეში და ერთი ყოფით მკვდართან მიიბრინა. მკვლელს ეცნაურა ძაღლის ხმა და გულგახეთქილი გადახტა მოაჯირზე, მეორე გვერ-

დით რომ მოევლო და ჩუმით დაეწვალა იერებია, ვინ იყო მკვდარი. მართლაც აგრე მოიქცა. მივიდა იმ ალაგას, სადაც მკვდარი იყო და ღობის ქუქრუტანაში დაუწყო ყურება ელვის შუქში, რომელიც ძლივს სწვბედებოდა ტირიფის შტო-ფოთლებიდან ორღობეში, მან დანახა შემდეგი სურათი, რომელიც მისი გაჩენის და არსებობის მეხის დაცემა იყო...

ევ. ფურცხვანიძე
(გაგრძელება კვირის ნომერში იქნება)

ძმარი პეტრიაე!

(სცენ)

ჩემდა საუბედუროთ გევიცანი ერთი გოგო ..

გაცნობისთანავე გამოიცნა—გაოუცინე, მომიწონა — მევიწონე, შემეყვარა—შევიყვარე და ქე ვიფსკენი გვირგვინი. ვიბერები ყვაქიქვივით; ცოლიანი კაცი ვარ და რა მიკირს აწი მეთქინ. გეიარა ერთი თვეი, გამოცხადდა ჩხუბი და შიგ შვა გულში შიმაყოლეს მეც. ცოლშვილ გაშავებულმა გერმანიამ მწყეიტა ტყვია და ქე არ გამაჩხიკინებინა მარჯვენა ხელიი!.. შენ აწი „ნეგადიკაო“ და გამომისტუმრეს შინ. სიხარულით ვიპრწყენე და ვიპრწყინე, მევესწარი ჩემი შეყვარებული ცოლის ნახვას თქე. მევედი შინ.

აი ჩემ ცოლთან ვინცხა ყაზირალი ქია გამოქიშული. გამევიხმე გარედ და გკითხე: „ვინაა, ცავ, მაი ყაზირალიმეთქინ?!“ — მაგი, შენ გენაცვალე, ჩემი ნათესავიაო: მარტომ ვერ გავძელი და აგი გადმევიყვანე „ნახლენბიკათო“. შენ რის გეშინია, ბეჩა?!. მე რომ შენ გილალატო, მაშინ ჩევიცვა შენზე შავიო. „ცოტა ქე შევიცვალე გაქცეულის სალამივით მანვე რომ დამასწრო სინდისზე ლპარაკი.

იმ ღამეს აფერი, მიორე ღამეს იქნებოდა ასთე ღამის ვორი საათი, შეიქმნა, ჩემსას კივილ-წივილი, ბლავილ-ჩავეილი ვაი-უი: არიქა, ძმარი, მიშველეთო! წამოვხტი ბზიკივით... — რაია, ცავ, რაი მოგივიდამეთქინ?! — „უგარია“ ოთახში და ძმარი, გვი-

შველეო! ვსტაცე ბოთლს ხელი და მოვეურთე და მოვეურთე ლუქებისაკენ. დოუბრაზუნე მეღუქნეს... გავაღებინე კარი და - არიქა მიშველე ძმარი მეთქინ! მავ ოჯახ-ამობუგულმა — „ახლა დარდანელი დაკეტილიაო“ და ნახევარ ბოთლში კაკალი მანათი ვადამასვლექია. ვამოვხტი იქიდან... ისთე მოვრბოვარ, ვერ დემეწევა მწევარი, მოუხევიე „უგლაოვი“... დავეჯახე გარდავოს... გავაგორე მუთაქასავით... ზედ დეგვებრდღენა დგორნიკი:

— „დერეი იამუ, ნიბუსკაიტო“.

— „პაჟა-ლუსტა პუსტიტ. ნაოთახუ უგარ ზდელილსა, პომირაიშ ცოლი. და ნახლებნიკი და ძმარი ნესიოშ-მეთქინ“.

— „გდღე ტი ჟივოტო?“

— „ია ჟივოტ ჩერქეზოვცკი ულიცა №№ კვარტინა ოსმოითქვა!..“

— „ააა, ზნაიშ-ზნაიშ, ონ ჟენჩინა კაჟდინო-ჩი ნა პოლე სნაში გულაიტო...“

(ერიჭაა, დგორნიკებთანც კი ჰქონია საქმე). დევისენი რავაც იყო თავი, მოვედი შინ! აი ჩემი ცოლი და ნახლებნიკი ქე ვაკოტრიანლებულან კრავოტზე. მე ვიფიქრე, აგია იხრჩვებიანმეთქინ და უსხურე და უსხურე... უსხურე და უსხურე ძმარი. ვადმოკოტრი ღდენე! მე რომ დევიანხე — იმისთანა დეინახოს თქვენმა მოსიავემ. თურმე მაგენს სულ სხვა უგარი“ ქონათ! და იმიზა გაუგდივარ ამ შვალამეზე გარეთ.

ასთე დამასხა თავს ლაფი მოწინავე ყმაწვილმა, ახლანდელმა ომმა და შეყვარებულმა ცოლმა...

ალი-ძამია

ქართული სახიობა

ხარფუხი კლუბის მამასხლისთა საბჭომ, განსაკუთრებით ალექს. სიმ. ლორთქიფანიძის შეტადინეობით, დიდი უნარი გამოიჩინა. ბაღა მშვენივრად მოაწყო, ევგვიდნარებით და ელექტრანით, ბაღში რატონდა გამართა კაზნაისტენით, რომელზედაც კვირაში ერთხელ ქართული წარმოდგენები იმართება დამსახურებულ მსახიობთა მონაწილეობით. ოთხშაბათს, 15

ივლისს, ვ. თახსნობით წარმოდგენილ იქმნა ვ. გუნიას თანამედროვე შარეი უსამთა კავშირია და აზიანის „გატრეუბული იმელები“. ტ. აბაშიძის, მ. ქიჯარჯიშვილის, ვ. აბაშიძის, გ. გედევანაფის, ალ. იმედაშვილისა და დ. მკალბელიშვილის შეთანხმებულ თამაშით ორივე შეისმ მსიარულად ჩაიარა და დამსწრენიც დიდათ ასიამოვნა. საზოგადოება საქმად დაქსწრო (ფასი 15 კ-დან 50 კ-დე იყო). ბაღში მუსიკაც უკრავდა. ბ.ბ. მამასხლისთ გადაუწყვეტათ, გონივრული კასართებები ვაართონ თვისა წვერნი, რომელთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. სასურველია წარმოდგენები ადრე (11 საათზე) თავდებოდეს, რომ ტრამვაის მიუხწრონ.

უსავანო

ძ. ბათომში წელიწადზე მეტია ერთი ქართული წარმოდგენა არ ვამართლა, რა თქმა უნდა, ომიონობის გამო! ასე რომ ამ მხარეს, ბათომელთა მოთხოვნილებებისას, ილუზიონ-პროექტორები აკმაყოფილებენ... ერთი თვეა რაც მსახიობი ჯ—ელი ცდილობდა როგორმე დასი ჩამოეყვანა ქუთაისიდან, მაგრამ მოგვხსენებათ, ქართულ საქმეს ყველაფერი წინ ელობება: ჯერ იყო პოლიციას წარუდგინა ერთი პიესა „უმუშევარი“, ნება არ დართეს, მას შემდეგ მეორე, მესამე და ბოლოს პიესა „უმედური ნაბიჯი“ შ. დადიანის თარგმანი. ნებადართეს, მაგრამ ახლა დასის „პროპუსკის“ საქმე გასტირდა და ძლივს—ერთი მსახიობი ქალი მარო მდივანი ჩამოიყვანა. თუმცა კი ამას წინეთ ვაიღამაკნა მოლოროსიელთა დასი—ოთხმოცი სულისაგან შემდგარი, სულ ადვილად ჩამოვიდა ქუთაისიდან, 25 წარზოდგენა ვამართა და ყოველთვის კარგი შემოსავალიც ჰქონდა...

ქართული წარმოდგენა დანიშნული იყო კვირას, 5 ივლისს, მაგრამ ვადანდეს სამშაფათისთვის, რაც მოუხერხებელი იყო მუშა ხალხისთვის დასწრებოდა. „მოუთმენლად მოველოდით კვირას დაღამებას თეატრში წავსულიყავით, სამშაბათს კი საქმე გვაქვს, ვერ წავალთო“, შემომჩივლეს ნოქრებმა..

რა თქმა თუნდა ტენიკურად და ნების დაურთველადაც მოუხერხებელი იყო სხვა პიესის დადგმა, თორემ უმჯობესი იქნებოდა, ამდენს ანს თეატრს მოწყურებული ხალხისთვის ეჩვენებინათ ჩვენის ცხოვრებიდან რამე...

საერთოთ ითამაშეს კარგად, რომ ზოგიერთი დეფექტები არ ხლებოდა. მაგ.: პასუსსაგებ—ბარონესს როლში გამოუცნულ სცენის მოყვარის გამოყვანა!.. მსახიობი უნდა თამაშობდეს ხალისიანად, თავის თავი უნდა ეუბნებოდეს მადლობას—მაშინ მაყურებელნიც, უძველია, მადლობას ეტყვიან... ამას ჩვენ ვერ ვამჩნევდით ვერავის, გარდა ბ-ნ გელოვანისას—ლოთ

აფიცრის როლში... ბარონესა კი, ოხ, ღმერთო ჩემო, — სირცხვილით იწურებოდა, მთელი სხეულით ცახცახებდა და რალაცას ლულულუღებდა რაც არავის ესმოდა... სცენის მოყვარე მეტეც არ მოეთხოვებოდა, მაგრამ რას ფიქრობდენ ამ საქმის მოთავენი? რათა რყენიან ხალხის ესთეტიურ გრძნობას, რათ უტეხენ სახელს ხელოვნების ტაძარს?!

ბ რ . ი — ძ ი

ს ა ლ . შ ო რ ა პ ა ნ შ ო ი კარგა ხანია არსებობს სცენის მოყვარეთა წრე, გვაქვს საკუთარი სცენა, რომელიც ჯერ თუმცა ღარიბია მოწყობილობით, მაგრამ თანდათან უმჯობესდება. სამწუხაროდ თვით სცენის მოყვარეთა წრე ჯერ კიდევ ვერ მოეწყო კარგად და მკვიდრს ნიადაგზე ვერ დადგა. გამგეობას უფრო მეტი სიბეჯითის გამოჩენა ჰპირთებს საქმის გასაუმჯობესებლად. სცენის მოყვარეთა თხოვნით გამგეობამ ამ ზაფხულს შუა მაისიდან რეკისორად მოიწვია მსახიობი ვ. არაბიძე, რომელმაც ერთ თვეში ორი წარმოდგენა გამართა. პირველად დასდგა გედევანიშვილის პიეს „გამეკვი“, რომელშიაც მთავარს როლს შაქროსას ასრულებდა თვით არაბიძე და საუცხოვოდაც ჩაატარა როლი. ამ პიესამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდძალ საზოგადოებას მოუყარა თავი. არჩილის როლს ამ პიესაში ასრულებდა ბ. სამთისელი, და როგორც სცენის მოყვარეს, არა უშავდ.რა.

პ ლ . გ ო ს ი რ ი ძ ი

ღ . ლ ა ნ ო ხ შ თ შ ი შაბათს, 27 ივნისს, დამშეულთა სასარგებლოდ, ქ-ონ ნ. ყორდანის მეთაურობით, მსახიობ ლ. სანიკიძის (სარელისა) და სცენის მოყვარეთა მონაწილეობით გაიმართა საღამო. პროგრამა შინაარსიანად იყო შედგენილი და, ამისდა მიხედვით აფიშებმა ბლომა ხალხი მიიზიდა. წარმოდგინეს „დასჯილი“ დ. აწყურელისა. პიესის დადგმას სიჩქარე ეტყობოდა. ბ. მ. იმნაძე (გერასიმე) რამც თუ თავდავიწყებული და მხოლოდ ფულების შემნატრე ადამიანი იყო, არამედ ძველ მხარჯავ თავდას მოგავიწყებდათ. ქ-ნი ნ. მამულიაშვილი (ელენე) დაკვირვებით ასრულებდა ნაკისრ როლს. ქ-ნი ლიუდ. ცინცაძე (ნინა გერასიმოვნა) სუსტობდა. ბ. კ. ყლენტმა (კოშაძე), რომელიც კარგ სცენის მოყვარედ ითვლება, ნაკისრი როლი გადაამლაშა: მისი დრამა კომიზმს უერთებოდა, დრამის დასასრულ დამბაჩამაც უმტყუნა). ბ. ვ. ასკურავა (ვ. ტურუშვილი) ნაძვილი მოარზიყე, ცუდლუტი, ქალეზის მუსუსი იყო. მსახიობმა სარელმა იმერელი მსახურის როლი საუცხოოდ ჩაატარა და დამსწრენი ძლიერ ასიამოვნა, ვ. ართილაყვა (ივანე) მოუშხადებელი იყო.

ბ. კ. ყლენტის ლობტაზობით რამდენიმე სიმღერა შეასრულეს, რომელთაც ჩქარი ხელი ეტყობოდა. ამას თვით ლობტარიც ჰგრძნობდა. აფიშების მიხედვით, უნდა კოფილიყო მუსიკა, სიმებიანი ორკესტრი, მაგრამ... დაპირება იმედ-გაცრუებული რეკლამი გადგა, ეს სამწუხაროა.

საერთოდ ასეთ საქციელს — შეპირებას და მერე მოტყუებას — როგორც ყველგან, ისე აქაც ადგილი აქვს და სასურველია, რომ არ განმეორდეს. ვისაც ცოტა ოდნად სწამს თეატრი და ხელოვნება, ენერგიულად უნდა აღუდგეს წინ და ეცადოს ამგვარი აღარაფერი გამეორდეს, თორემ ხალხს გული აუტრუფდება.

სასურველია გამგეობა თვით მოაწყობდეს იაფფასიან წარმოდგენებს და დროით შესაფერი პიესებით მეტ გონიერულ საზღოს მიაწვდიდეს ხალხს. **ა ლ ი ო ნ ი .**

ღ . ც ხ ი ნ ვ ა ლ ლ ე კვირას, 5 მაკათევს, აქაურმა სცენის მოყვაეებმა წარმოდგინეს ვ. გუნიას „და-ძმა“. თუ კი ოდესმე ცუდი გენიხია, ეს მათზე ვაცილებით უარესი გამოდგა.

ჩვენ ვხედავდით უშნოდ მოლაქუნე ხალხს, რომელიც აჩრდილივით დაიბლანდებოდა სცენაზე. უსულო საგნები, მოკლებული სიცოცხლესა და ცოცხალს მოძრაობას, ტიკინებივით დაფარფატებდნენ. ნატამალიკი არსადა სჩანდა ბუნებრივობისა.

ნ. მურადოვამ ოტიასადმი სიყვარულით ადგხნებული და გატაცებული მარინეს პიროვნება კი არა რუსის ჯარის-კაცის ხატება განასახიერა, რომელიც თავისი უფროსის წინაშე ვიავგაღახითა სწავლობს „**пиз-два-три**“ — ზედ მარშიროვკას. ვაი რომ მართლა თვითონაც იტ.ნჯებოდა სცენაზე და ჩვენც დაგვტანჯავ თავისი მოუხეშავის და ტლანქი თამაშით. აბგარ ტერ-სტეფანოვმა გაიოზ ფაღავას მაგიერ ახალგაზდა შეყვარებული ფატი დაგვისურათხატა და ისიც სრულიად უფერულად... მის თამაშში არა სჩანდა: არც მიმიკა, არც პლასტიურობა, რაიც ასე საქირთა ხეირიანი მოთამაშესათვის, მისი გადაჭარბებული თავისუფალი ქცევა გაფიქრებინებდათ, თითქოს ეს ადამიანი თავისი მტრის — ჯოლიას — ახლში კი არა, სატრფოს წინაშე სდგას და სიყვარულს ეფიცებაო...

ოტია ჯოლიას როლი მართლაც ძნელი სათამაშოა და, რა გასაკვირველია, რომ ბ. აბულაძეს იგი ვერ დაეძლია. მან სრულებით ვერ აულა ალღო ოტიას ტიპს.

როსტომოვი სამარიდან წამომდგარ მკვდარს უფრო მოგვაგონებდა, ვიდრე ადამიანს. საღ იყო ტიპი თავისი ბატონის — ოტია ჯოლიას — ყურმოჭრილი ყმისა, მაგრამ იმავე დროს სამშობლოს სიყვარულით სამთელსავით ჩამომდნარის და მისი კეთილდღეობით დაინტერესებულის ადამიანისა? მან იერიც-კი ვერ აულა მოხუც ადამიანს მრავალტანჯულსა და გაწამებულ სულს.

ფიქრობთ და ვერ გავგივია, თუ საიდან და როგორ გაჩნდა სცენის ნათელ რაპსსთან ვარო მღებროვი (გალია). მისი წრიბინი, ჩხაიკი და ტანის საოცარი, ულახვით მიხერა-მოხერა დალადადებს, რომ იგი გამომუსადგობრივად უმჯობესი სცენის

თუმცა ვერც შალიკო კვანტახაძემ სრულყო მამულისა და მეგობართათვის თავდადებული გიორგის პიროვნება, მაგრამ სხვებს მაინცა „სჯობდა“. დნარჩენ აღმასრულებელთა შესახებ ისევ სიუჟემ ვარჩევ...

სასურველია წარმოდგენები დაკლებულ ფასებში იმართებოდეს და ადრეც იწყებოდეს...

ნათესავი

წ ვ რ ი ლ ი ა მ გ ე ბ ი

◆ **ვასო აბაშიძე** ხელოსანთა კლუბში „ციმბირელი“-ს წარმოდგენის დროს ავად გახდა. წარმოდგენა შეჩერდა. ამ ზაფხულს ქიზიყს მიდის „ახტალში“ სამკურნალოდ.

◆ **ილიას სალამო დ. ცხინვალში** ელჩერქეზიშვილის მონაწილეობით გაიმართება კვირას, 19 ივლ. საზაფხულო თეატრის შენობაში ქ. შ. წ. კ. გამ. საზ-ის ცხინვალის განყოფილების სასარგებლოდ. ქ-ნი სოლოლაშვილი წაიკითხავს მოხსენებას ილიას პოეზიის შესახებ; წარმოდგენილ იქნება: „გლახა ჭრიაშვილი“ ილიასი და „დედის ერთა“ გუნდასი., იმღერებენ „ვაი-ვუის“ ხმაზე, დაიდგმს ილიას ნაწარმოებთა გმირების ცხოველი სურათი, დასასრულს— აზიურ-ვეროპოული ცეკვა, დაუკრავს კლორნეტისტების ჯგუფი, ზურნა და სამხედრო მუსიკა.

◆ **ყვალდიდობით დასჯალაშეშობა სასარგებლოდ** ხაშურის საზოგადოება დღეს, 19 ივლისს, ხაშურში მართავს სეირნობა-წარმოდგენას.

◆ **ხაშურში** ქართ. დრამ. წრე კვირას, 26 ივლისს, ი ზარდაღიშვილის მონაწილეობით გამართავს სახუმარო საღამოს

◆ **ვალ. გუნიამ დასწავა** შარტი „სამთა კავშირი—ვილქელში, ფრანკ იოსები და მაჰმუდი“ ამ შარტს არდგენენ თბილისის კლუბებში და მალე წარმოადგენენ გორშიც.

◆ **„ლიონარდო და შინაინი“** ქართულად სთარგმნა შალვა დადიანმა.

◆ **„ახალმა კლუბმა“** 15000 მან. გადასდო დამწვარი თეატრის პარტერის აღსადგენად. ფიქრობენ იქვე მოაწყონ დროებითი სცენა.

◆ **დღეს ახალ კლუბში** საბავშვო საღამოა (5—9 ს.) დანიშნული.

◆ **საბარაქოში მ. იანაოშვილი** კვირას, 19 ივლისს, წარმოადგენს თავისი პიესას „გატირებული ადვოკატი“-ს, რომელშიაც ყველა (8) როლს თვითონ შეასრულებს. წარმოდგენის დაწყებამდე წაიკითხავს ლექციას „უმავთულო ტელეგრაფის“ შესახებ ამავე პიესის წარმოდგენასა და ლექციის წაიკითხავს ფიქრობს სხვადასხვა დაბა-ქალაქში.

◆ **შურ. „თეატრი და ცხოვრება“** ამაღლეების სამკითხველს გაუწვია ნინო ყაჭვიშვილისაძ.

◆ **ერთ დღიური გაზეთი „ქმური სიტყვა“** ქართველ მაჰმადიანთა შესახებ გამოვა საკვირაოდ 15 ათასამდე ცალად ქართულად, 6,000 რუსულად.

◆ **„ხარჭუხის კლუბის“** წევრთა კრება ამ მოკლე ხანში შესდგება.

◆ **საბურთალოს თეატრის** წრემ ახალი გამოცემა აირჩია.

◆ **ხელოსანთა კლუბში** ოთხშაბათს, 22 ივლისს, თბ. ქართ. მომღერალთა გუნდი მ. კაცხაძის ლოტბარობით გამართავს კონცერტს ორ განყოფილებად.

◆ **სოფ. ძარკაღში** მსახ.ობი აპ. ფრანგიშვილი ამ მოკლე ხნში წა მოადგენს პიესს „ლევის ქალი გულჯავარი“.

◆ **ქართული სიმღერები გარემოზონის შირკიტაზე** „ამურის“ საზ-ის თხოვნით დამღერა ვანო სარაჯიშვილმა. ვადღებულნი: ირაკლის არია“, „ახ მივარევე, მივარევე!“ არაყიშვილისა, „ურმული“, მისივე, „ბუნდოვან გულს“, მისი, „მარი“, „მშვენიერთა ხელმწიფევი“ კარგარეთელის და „გენაცვალე“ (მეორედ), ჰონორარად მიუღია 1200 მან—დე.

◆ **„და-ქმას“-ის ბუნდოვანი სურათებით** წალვერში წაიკითხავს სცენის მოყვ. გ. ჯაბაური.

◆ **სამაგალიტო მომღვარე** ბლადიჩინი ექვთიმე კალანდარიშვილი, რომელიც თითქმის 50 წ. მსახურობდა ნიგოთის სიზოვადოებაში (გურიაში), გასულ კვირას თბილისში მიაბარეს მიწას. იგი ცნობილი იყო ვითარც სათნო, კაცთ მოყვარე, ილიდ მორწმუნე, მაგრამ ამავე დროს სხვისი რწმენის ხელისშემწყობი—სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნოსა“, ახალი თაობის მოჭირნახულე, სოფლის კულტურულად წინსვლის ხელისშემწყობი (მისი ქალიშვილები მონაწილეობდნენ სასოფლო წარმოდგენებში და ამას არა თუ უშლიდა—ხელს უმართავდა კიდევ), ღარიბ-გატირებულთა შემწე და მრევლის ყოველმხრივ გამტანი. დაკრძალვას დაეწარენ სოფლიდან ჩამოსულნიც-კი.

◆ **ქართველი მაჰმადიანი ჰაიდარ გებ აბაშიძე** ბექდავს წიგნს აქარლებს შესახებ. წიგნში მოთავსდება ყველა ის წერილი, რომელიც ომის შემდეგ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. დაიბეჭდა. წიგნის დარიგებას უფასოდ ფიქრობს.

◆ **ქვირილაში** სათეატრო თანხის გასაძლიერებლად 25 ივლისს, სეირნობის გამართვას ფიქრობენ.

წერილი რადამაციის მიმართ

ბ-ნო რ-რო! უმორჩილესად გთხოვთ ეს სამი მანათი გადასცეთ თეატრის ფონდს მიხელო სიმონის ძის კიკნაძის გარდაცვალების გამო გვირგვინის სამაგიერო.

აზრავინი ალხანაშვილისა

ბ. რედაქტორო, იას.კერესელიძეს ჩემი წიგნების ფულში, 280 მანათში, მე დავჯერდი 40 მ. ეს ცნობა მერე მანვე თქვენს გაზეთში გამოაცხადა და ისიც სთქვა, რომ ეს ფული მისის გასვლამდის უნდა ჩავბაროვო. აგერ ივლისიც გადის და მე კი ჯერაც არაფერი მიმიღია მისგან.

ზ. ზ.

ახალი გამოცემა

უკვლასათვის საჭირო და სახარებლო წიგნი

უცხო სიძუპათა

სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად აღნიდებულ) წიგნი ახსნა-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათგან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოკალოვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერათვის ვაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შელავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენი—წიგნის გამოსვლის ეამს).

ხელის მოწერა მიიღება: ქურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“-ს (სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“
 Ис. Имедашвили.



სტამბა
 88908

მიიღება 1915 წ. ნახევარი წლის ხალხმწერს უოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ქურნალ

იუმორისტულ განყოფილებით და შარუებით

უოველგვარ ჯგუფრ-დასურ მიმართულების გარეშეა.

უოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.

შ ა ს ი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., 1 თვ. 40 თითო ნომერი 10 კაპ.

ხელმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს.

მიიღება განცხადებანი ქურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი: ორიგებით, ფული და უოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე.

Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“
 Иосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

თეგზის ძრეწველხი

კმ.

კეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი ხახ' № 9
ტელეფონი № 71-2.

განყოფილება

აელაბარში

ზოსტის განყოფილების ძველი
საკუთარი სახლში

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი

როგორც პუშკინის ძუჩაჯი

ნომრები „სეროკრ“

ახლად შეკეთებულს. საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ევროპის სივრცით. ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში სმარტული, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანა).

თბილისი. მიხეილის პროსპ. № 5.
ტელეფ. 13-14 (7)

ქუთაისი

ქალაქი ქაქაბ

თბილისი

საქართველოს სსრ

ახლახან გაიხსნა

ა ფ თ ი ა ქ ი

პროფიზორის ა.ს. ახვლედიანისა

(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე)

1 მიხიდან ქალაქ თბილისში გაიხსნა ურნალ-გაზეტების კანტორა

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ეშაკის მათრახი“, „თემი“, „ქუთათური ახალი კვალი“, „გავაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლიტერატურა“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлис, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოღვინსკი, 6.

ქ. თბილისში გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული გამოცემა **ეშაკის მათრახი**

ქურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშაკი და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. ბ. ბუკია

თანამშრომლები: ალბერტოანი, ბელიკოვი, ეშაკი, კაპაძე, თაგუნა, კინო, კვიციანი, კოლა, შარაიძე, ნაფუკოლანოსორი, ინიხიძე, ვიტა, ფიბ-ტეფი, შ. ქაქაძე, შუქრდინგე. რედაქციის ხელმძღვანელი და სხვ.

ქურნალის ფასი—1 წლით 5 მ. წ. თვით 3 მან. მ. თვით 1 მ. 50 კაპ.

„ახლ. მათრახში“ დიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები: ლტყეპის, მოთხრობები, ზღაპრები, ზარალები, გამოცხადები, ნაკვეთები და სხ.

ქურ. დაბეჭდება საქონეში ორის ოლოუსტრატები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნიან ამ ადრესით: Тифლისა С. П. Таварткиладзе. Олж. ящ. № 96 (ეშაკის მათრახისთვის)